მეშარცალ ‘ბლგ-ბლაი ‘ქართ. ხარეკ. პარტია

ტფილისი

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვეში 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 200,000 მან. ნაბეჭდი
4 „ 150,000 „
ყამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 497 შაბათი, ივნისის 16 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ თბილისში 14 ა. თ. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კავშირის წევრი

სანდო ცირეკიძე.

პირველი პანაშვიდი კვირას 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში.

პოეტების ორდენი „ცისფერი ყანწები“ ამით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ 14 ივნისს თფილისში გარდაიცვალა ორდენის წევრი-დამაარსებელი

სანდრო ცირეკიძე.

განცხადება

შაბათს, 16 ივნისს, საღამოს 6 საათზე აღმასკომის ბინაზე მოწვეულია

ტფილისის აღმასკომის მორიგი სხდომა:

დღის წესრიგში:

1. მოხსენება ზაგესკომის შესახებ. მომხსენებელია ამხ. თ. ღლონტი.
2. პრეზიდიუმის მოხსენება საბჭოს სექციური მუშაობის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

ვინაიდან გასარჩევია მეტათ სერიოზული საკითხები, ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.

პრეზიდიუმი

№ 375—2—2

18 ივნისს მოწვეულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესია.

სესიის დღის წესრიგი:

1) დებულება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლოს წყობილებისა.
2) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
3) სამოქალაქო კოდექსი.
4) საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა.
5) აგრონომიული დახმარების ორგანიზაცია.
6) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღება.
7) თიანეთის მაზრის შემოერთება დუშეთის და თელავის მაზრებზე.
8) საკავშირო ხელშეკრულების შესახებ.
9) საქართველოში შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის მუშაობის შესახებ.
10) მიმდინარე საკითხები.

3—2 ს. ს. ცაკის მდივანი: პ. საბაშვილი.

ხელოვნების სასახლე

ორშაბათს, 18 ივნისს ხელოვანთა სასახლეში (სერგ. ქ. № 13). შესდგება სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტის

საჯარო სხდომა

მოხსენებას წაიკითხავს

კოტე მარჯანიშვილი: „ქართული თეატრის მომავალი“.

სიტყვებს იტყვიან მთავარ კომიტეტის წევრები:

პაოლო იაშვილი: „შარშანდელი სეზონი“.

ლეო ქიაჩელი: „თეატრი ძიების“.

ტიციან ტაბიძე: „თეატრი და ლიტერატურა“.

დასაწყისი საღ. 7 საათზე შესვლა კავშირის წევრებისა და სტუმრებისთვის უფასოთ.

2—1 მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე: კოტე მაყაშვილი.

ინგლისი და საფრანგეთი

ბურჟუაზიის რიგებში გავრცელებულია კაპიტალიზმის ბატონობის დამაუძლურებელი სენი: საერთო ენა, შეთანხმებული მოქმედების გეგმა და ერთი ხაზი არ მოეპოვება პროლეტარული მოძრაობის მოწინააღმდეგებს. ერთი ქვეყნის ბურჟუაზიის თვალსაზრისი რომელიმე საგულისხმო საკითხში განსხვავდება, ხშირად დიამეტრალად ეწინააღმდეგება მეორე ქვეყნის ბურჟუაზიის ინტერესებს. არ ყოფილა დღემდე თითქმის შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოების ბურჟუაზიის წარმომადგენლები შეერთებულ მოქმედების გეზით გამოსულიყვნენ საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებში. ვაშინგტონისა და გენუის კონფერენციებზე ბურჟუაზიული დიპლომატები გაცხარებულ ბრძოლას აწარმოებდენ ერთმანეთის წინააღმდეგ. კონფერენციების პრაქტიკული რეზულტატები სავსებით არ ყოფილა დიდი მნიშვნელობის მქონე.

განსაკუთრებულის სიცხადით თავს იჩენს ანტაგონისტური განწყობილება, არსებული ორ დიდ-ტანიან პაპიტალისტურ სახელმწიფოს—ინგლისსა და საფრანგეთს შუა. მსოფლიო ომის პირველ დღიდანვე ეგ ორი სახელმწიფო ხელიხელ ჩაკიდებული გამოდიოდა მოწინააღმდეგე კოალიციასთან ბრძოლაში. ამხანაგობის ჯაჭვი თითქმის არ გაწყვეტილა უკანასკნელ მომენტამდე და ინგლის-საფრანგეთი ოფიციალად და ფორმალი თვალსაზრისით გაერთიანებული ძალ-ღონით გამოდის საერთაშორისო პოლიტიკის ვითარებაში.

მაგრამ თუ ღრმად ჩაუკვირდებით საქმის შინაარსს, სრულებით საწინააღმდეგო სურათი გადმოიშლება ჩვენს წინაშე. ევროპიულ ომის მიწურულიდან, ნადავლის გაყოფის მომენტიდან უკვე წამოიჭრა მთელი რიგი მწვავე კითხვების, რომლის ახსნა-გამორკვევაში ერთობ საწინააღმდეგო პოლიუსზე დადგა საფრანგეთ-ინგლისის თვალსაზრისი. ახლო აღმოსავლეთის ანატოლიის პრობლემა პირველი ყუმბარა იყო საფრანგეთ-ინგლისის შეხმატკბილების დარღვევისაკენ გასროლილი. მეორე საკითხი იყო და არის—რუსეთის საკითხი. ხოლო მესამე—რურის ოლქის ოკუპაცია.

ინგლისის მრეწველობის განვითარებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ოსმალეთის ტერიტორიაზე ფაბრიკატების გასაღება. ოტამანის იმპერია, როგორც ეკონომიურად ჩამორჩენილი სახელმწიფო, საუცხოვო ბაზარია მთელი კაპიტალისტურ მსოფლიოსათვის. ახლო აღმოსავლეთში ინასკვება ოთხი იმპერიალისტურ სახელმწიფოს ინტერესები: ამერიკის, ინგლის, იტალიის ნაწილობრივად და საფრანგეთის.

ინგლისის ეკონომიური განვითარება საბედისწერო ქუჩაბანდშია მოქცეული. კოლონიები იყო ინგლისის კაპიტალისათვის უმთავრესი საარსებო და სასიცოცხლო წყარო. ბრიტანეთის ფაბრიკატების და კაპიტალის ექსპორტი უმთავრესად სწარმოებდა ეკონომიურად დაპყრობილ, კოლონიალ ქვეყნების მისამართით. მაგრამ უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში ახალშენები საკუთარ ეროვნულ მრეწველობის განვითარების ლიანდაგს დაადგა. ავსტრალია-ინდოეთის, ავღანისტანის და სხვა მრავალ წვრილ ახალშენების ინდუსტრიალიზაციის პროცესი უკვე აღორძინება-განვითარების ლოლიკურ დასკვნისაკენ მიექანება. თანამედროვე ინგლისის კაპიტალისტურ ტრესტებს და სამრეწველო ორგანიზაციებს გამოეცალა ნიადაგი ახალშენებში ეკონომიურ ექსპლოატაციის ასპარეზზე. დღეს უმეტესად ინგლისიდან კი არ იზიდება ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოები, აღმოსავლეთის ახალშენებში, არამედ კოლონიები უფრო მეტ მეტს დამზადებულ მასალებს გზავნიან მეტროპოლიის შუაგულისაკენ. მაშასადამე, ინგლისის კაპიტალი იძულებული ხდება ეძიოს ახალი ბაზრები, ექსპლოატაციის ახალი ობიექტები.

მზგავს მდგომარეობაშია აგრეთვე საფრანგეთიც. მართალია, მას არ ეტყობა ეკონომიურ კრიზისების ისეთი უარყოფითი გავლენა, რომელსაც ადგილი აქვს დიდი ბრიტანეთის სინამდვილეში. ამის მიზეზი საყოველთაოდ ცხადია. საფრანგეთის ეკონომიურ ევოლიუციას არ მიუღწევია კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელ სახეობისაკენ. მაგრამ კოლონიალ ქვეყნების ეკონომიურ ემონსიპაციამ მაინც გაავლო ღრმა კვალი იმპერიალისტურ საფრანგეთის სამეურნეო ცხოვრეაის სხეულში. „დემოკრატიული“ საფრანგეთის კაპიტალის სათარეშო ასპარეზი მხოლოდ საფრანგეთის სახელმწიფოს ტერიტორიალი მოხაზულობით განისაზღვრა. საფრანგეთიც იძულეაულია და ახალი ბაზრები ეძიოს.

ოსმალეთის მიწა-წყალზე დაუპირისპირდა ერთმანეთს ინგლის-საფრანგეთის ეკონომიური ინტერესები. გასულ წელს საფრანგეთის მთავრობამ მოახერხა ქემალთან სეპარატიული ხელშეკრულების დადება. ყოფილ პრემიერ ლოიდ-ჯორჯიმ სათანადო საპროტესტო ნოტით მიმართა პუანკარეს. კონფლიქტი „მშვიდობიან“ სახეში ჩამოყალიბდა...

რუსეთის საკითხმა უფრო გაამწვავა და გააღრმავა საფრანგეთ-ინგლისის შუა არსებული „ფარული“ წინააღმდეგობა. საბჭოთა ფედერაციასთან ინგლისმა საერთო ენა გამონახა. მართალია, ამ ჟამათ შეთანხმებაში დისჰარმონიული მომენტები შეიჭრა. მაგრამ საფიქრებელია, რომ თანამედროვე კონფლიქტიც შეთანხმებით დასრულდება. ეს მით უმეტესად, რომ ინგლისის ეკონომიურ—რეალი ინტერესები მოითხოვს საბჭოთა რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის რკალში შესვლას. საფრანგეთი კი დიამეტრალურად დაპირისპირებულია საბჭოთა ხაბჭოთა ხელისუფლებასთან. მას არ სურს შეთანხმებულ ენაზე ალაპარაკება სოციალისტურ რუსეთის მშრომელ მასსასთან. აშკარაა, რუსეთის საკითხში სხვა და სხვა თვალსაზრიეზე შედგომა უფრტ გაამწვავებს ინგლის-საფრანგეთს შუა არსებულ ანტაგონისტურ სულისკვეთებას.

საკონტრიბუციო პრობლემის კვანძის გახსნაში საფრანგეთი სავსების საწინააღმოეგო პოზიციას იჭერს ინგლისის მიმართ. რურის ოლქის ოკუპაცია პრაქტიკული ნაბიჯი იყო საფრანგეთის იმპერიალიზმის მიერ გადადგმული. გერმანიის მიერ სარეპარაციო პირობების ასრულება მთლიანად წარმოადგენს მთავარ საზრუნავ საგანს პუანკარეს კაბინეტისათვის. ინგლისის გეზი გერმანიის საფრანგეთის მიერ ეკონომიურად დაპყრობის საკითხში სავსებით სხვა მიმართულებითაა გაქანებული, ვინემ ამას მოითხოვს საფრანგეთის ბურჟუაზიის კეთილდღეობა. რადიო-დეპეშები გვაცნობს, რომ გერმანიის ახალ ნოტას თანაგრძნობით ეპყრობა ინგლისის ბურჟუაზიული პრესსა და და კაპიტალისტური წრეები. საფრანგეთისათვის გერმანიის პასუხი მიუღებელია. საფრანგეთის ბურჟუაზიის მადა არ გულისხმობს შებრალებას და უკან დახევას აგრესიულ პოლიტიკის წარმოების საქმეში კაპიტულიაციის გზას არ ადგას საფრანგეთის იმპერიალიზმი გერმანიის მშრომელი ხალხის მიმართ ინგლისი კი აცდილობს „მოკავშირის„ საწინააღმეგო თვალსაზრისის მომარჯვებას. უეჭველია, ამ მხრით მოსალოდნელია ახალი პოლიტიკური კონიუნქტურის გადაშლა მსოფლიო ცხოვრების ასპარეზზე.

გუშინდელ მტრების—ინგლისისა და გერმანეთის ეკონომიურ საკითხებში შეთანხმება აუცილებელია ორივე სახელმწიფოების ინტერესებისათვის როგორც ვიცით, ინგლისმა გადიდა ქვა ნახშირის ექსპორტი. გერმანია საჭიროებს „შავი ოქროს“ გამოზიდვას ბრიტანეთის საზღვრებიდან. რურის მდიდარი ოლქის „დაკარგვა“ ამას უკარნახებს გერმანიის ბურჟუაზიის მრეწველობის შემდეგი განვითარებისათვიხ. ინგლისის წინაშე იშლება ახალი „ბაზარი“—ეკონომიურად „დაუძლურებული“ გერმანეთის სახით.

ამ რიგად, გერმანიის საკითხი სწორედ უთანხმოების ვაშლია ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიას წინააღმდეგობის ფრონტის განსავითარებლად.

დასკვნა: ინგლისს-საფრანგეთის ინტერესები ერთმანეთს არ ენასკვნება საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრების ვითარებაში. ინგლისის ეკონომიური და პოლიტიკური გეზი მიემართება საფრანგეთის რეალ ინტერესების და მიზნების საწინააღმდეგო მიმართულებით...

ბალიკ-ლაპარაკები

უკრაინის საბჭოთა, პარტიულ აპარატის და სასწავლებლების ნაციონალიზაცია.

კიევი, 12 ივნისი. საგუბერნიო პარტკომის პლენუმა დაადგინა: პროფესიონალურ, საბჭოთა და პარტიული აპარატები გადაყვანილ იქმნას უკრაინულ ენაზე. ბრძანებანი და განკარგულებანი ადგილობრივ ხელისუფლებისა ორ ენაზე უნდა იცემოდეს.

უკრაინის პროფგანათლების მთავარმა ბიურომ შეიმუშავა გეგმა უკრაინის სახწავლებლების გაუკრაინელებისათვის: შემოდგომისათვის ყველა პროფსასწავლებლებში უკრაინული ენა შემოღებული იქნება სავალდებულოდ.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.

მოსკოვი, 12 ივნისი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე კომინტერნის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ზინოვიევმა.

„6 თვის განმავლობაში, რომელიც გავიდა კომინტერნის მეოთხე კონგრესის შემდეგ, ეკონომიური მდგომარეობა ზოგიერთ ქვეყნებში შეიცვალა კაპიტალიზმის სასარგებლოდ. ასეთი ქვეყნებია, მაგალითად ამერიკა, საფრანგეთი, ინგლისი და ბელგია. ცენტრალური ევროპა სრული ნგრევის პროცესში იუყოფება. იწყება კრიზისი იაპონიაში. საერთაშორისო ბურჟუაზიის პოლიტიკის ცენტრს დღეს შეადგენს რუსეთ-ინგლისის კონფლიქტი. ბურჟუაზიის ზოგიერთ ბელადებს, რომელთაც აშინებს საბჭოთა რესპუბლიკების გაძლიერება, სურთ მსოფლიო მასშტაბით გადამჭრელი ზომებს მიმართონ საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ: ფაშიზმი და რეაქცია განაგრძობენ შეტევას. დღეს თუ არა ხვალ მაინც მდგომარეობა შესაძლოა გამწვავდეს.

ჰამბურგის კონგრესის შემდეგ უფრო აშკარა შეიქნა, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი ერთად ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არის, რომელიც აკავშირებს მუშათა კლასის რიგებს. ერთიანი ფრონტის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების დროს განვლილი პერიოდის განმავლობაში ჩვენ გადავლახეთ მრავალი დაბრკოლებები და ერთგვარ შედეგებს მივაღწიეთ. დიდ წარმატებას მიაღწია პროფინტერნის მუშაობამ.

შეეხო რა მდგომარეობას ცალკე სექციებში, ამხ. ზინოვიევმა აღნიშნა, რომ თითქმის ყველა სექციებში არასათანადო ყურადღებით ეპყრობიან ნაციონალურ საკითხს. ყველა სექციებში ვერ გრჭნობენ ნათლათ, რომ კომუნისტური პარტიის ამოცანას შეადგენს მცხოვრებთა უმრავლესობის მიმხრობა. კომუნისტური პარტია უნდა იყოს მუშათა კლასის ნამდვილი პარტია, რომელიც იცავს მცხოვრებთა უმრავლესობის ნამდვილ ინტერესებს.

დიდი შეცდომები დაუშვეს ცალკე სექციებმა გლეხობის საკითხში და ორგანიზაციული ცენტრა-

ლიზმის მიმართ. კომუნისტურმა პარტიამ გამარჯვების მისაღწევათ უნდა მიიმხროს გლეხები. „მუშათა მთავრობის“ ლოზუნგი უნდა შეიცვალოს „მუშურ-გლეხური მთავრობის“ ლოზუნგით. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც მოიწონა კომინტერნის მეორე კონგრესმა, ცხოვრებაში უნდა გატარდეს საერთაშორისო მასშტაბით.

რუსეთი და ინგლისი.

ლონდონი. 12 ივნისი. საბჭოთა მთავრობის ნოტამ, რომელიც მოკლედ იყო მოთავსებული დილის გაზეთებში, მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ლიბერალურ და მუშათა წრეებში. მუშათა პარტიის წრეებში ამბობენ, რომ მთავრობის ავტორიტეტული სფეროებიდან მიღებული ცნობებით კავშირის გაწყვეტის საფრთხე უკვე აღარ არსებობს.

ის ერთსულოვნება, რომლითაც კონსერვატორული საღამოს გაზეთები მისაღებათ თვლიან ნოტას, საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფართე მასების რუსეთთან კავშირის გაწყვეტის წინააღმდეგ დიდი დემონსტრაციების შემდეგ რუსეთის მხრივ უფრო ნაკლები დათმობაც მისაღები იქნებოდა ინგლისის მთავრობისათვის.

პრესის ბიურომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომ ინგლისის პასუხი რუსეთის უკანასკნელ ნოტაზე ბოლოს მოუღებს რუსეთსა და ინგლისს შორის სადაო საკითხებსო. ავტორიტეტული წრეების აზრით მოლაპარაკება მეტად დამაკმაყოფილებლად დამთავრდა.

ბერლინი. 12 ივნისი. ზომიერი—ნაციონალისტური გაზეთი „ცეიტ“-ი წერილს უძღვნის რუსეთის ურთიერთობას დასავლეთ ევროპასთან. გაზეთი დარწმუნებულია, რომ ინგლისს და რუსეთს შორის მიღწეული იქნება შეთანხმება. ეხება რა ამ უკანასკნელ დროს რუსეთის დაახლოვებას იაპონიასთან და ამერიკასთან, გაზეთი აღნიშნავს, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა შედის ახალ სტადიაში.

ლონდონი. 14 ივნისი. ბრიტანეთის მთავრობის უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ბრიტანეთისა და საბჭოთა მთავრობების მოლაპარაკების შესახებ, ბრიტანეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ რადგან საბჭოთა მთავრობა დათანხმდა არსებით მუხლების შესრულებაზე, ამიტომ ამ ჟამად მოლაპარაკება იწარმოებს საბოლოო დასკვნების შესახებ.

ბერლინი. 14 ივნისი. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფიქრობს, რომ საბჭოთა მთავრობის ნოტა მანუგეშებელ ბაზისს იძლევა, რომ გადავლახოთ ყველა არსებული უთანხმოებანი. სამინისტროს ამითი სურს გვაცნობოს, რომ რუსეთ-ბრიტანეთის სავაჭრო ხელშეკრულება არ იქნება გაუქმებული.

ბერლინი. 14 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ბრიტანეთის მთავრობა უპასუხებს საბჭოთა ნოტაზე კვირის ბოლომდი.

საკონტრიბუციო საკითხი.

პარიზი. 12 ივნისი. საფრანგეთის აზრი იმ პასუხის შესახებ, რომელიც უნდა მისცენ მოკავშირეებმა გერმანიას მისი უკანასკნელი ნოტის შესახებ, შემდეგში მდგომარეობს: საფრანგეთს ინგლისთან შეთანხმებით სურს გამოიმუშავოს საერთო პასუხი გერმანიის ნოტაზე, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ გერმანიის მხრივ რურში პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა მოკაპარაკების დაწყების წინასწარი პირობაა. საფრანგეთს განზრახვა აქვს გამართოს მოლაპარაკება საკონტრიბუციო საკითხის შესახებ ლონდონთან, რომთან და ბრიუსელთან. მოკავშირეთა საკონტრიბუციო გეგმას საფუძვლათ უნდა დაედვას საფრანგეთის მთავრობის მიერ ამ საკითხის შესახებ 1923 წლის იანვარში გამომუშავებული გეგმა.

ამის შესახებ „ჰუმანიტე“ სწერს, რომ ეს მაჩვენებელია საფრანგეთის მოკავშირეებთან და გერმანიასთან დამოკიდებულების ახალი ფაზის დაწყების რადგან კუნოს ნოტა სავსებით შეეფერება სტინესის მიერ შედგენილ ეკონომიურ გეგმას და ალბად მიღებული იქნება ფრანგ კაპიტალისტების მიერო.

ლონდონი. 14 ივნისი. ლონდონში ფიქრობენ რომ საფრანგეთის და ინგლისის შეთანხმება ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან საფრანგეთი უარს ამბობს კომპრომინზე და აცხადებს: „არავითარი მოლაპარაკება პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტამდე“.

ბერლინი. 14 ივნისი. საფრ. ელჩმა ლონდონში განუცხადა ჰავასის სააგენტოს და საფრანგეთის გაზეთებს, რომ მას დღემდეც არ მიუღია ცნობა იმის შესახებ, თუ რა აზრის არის ბრიტანეთის მთავრობა საკონტრიბუციო საკითხზე.

ბელგიის კაბინეტის აზრით, საეჭვოა მოკავშირეების საერთო პასუხის შესაძლებლობა გერმანიის მემორანდუმზე. ყოველ შემთხვევაში, ეხლა ყოველივე ზომებს ხმარობენ იმისათვის, რათა კომპრომისის გზით შეუთანხმონ საფრ.-ბელგიის თვალსაზრისი სხვა სახელმწიფოების შეხედულებებს, რომლებიც დღემდე სავსებით განსხვავდებიან.

„ტაიმს“-ის ცნობით, იტალია შეუერთდება ინგლისს, ვინაიდან ის წინააღმდეგია მხარი დაუჭიროს საფრანგეთის მოთხოვნილებას პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ.

რომი. 13 ივნისი. „ტაიმსი“ იტყობინება, რომ ინგლისის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს გაუგზავნონ გერმანიას მოკავშირეების საერთო პასუხი. „ვესტმინისტერ გაზეთი“ აცხადებს, რომ საჭიროა ინგლისმა დამოუკიდებლაც გაგზავნოს პასუხი, ვინაიდან საფრანგეთი, როგორც სჩანს, არ სცნობს გერმანიის წინადადებებს მოლაპარაკების დაწყების ბაზად.

ლონდონი. 14 ივნისი. მდგომარეობა საკონტრიბუციო საკითხში არ შეცვლილა. ინგლისის მთავრობას არ გამოუტანია რაიმე საბოლოო გადაწყვეტილება და ჯერ-ჯერობით არავითარი კონკრეტიული ნაბიჯი არ გადაუდგამს. ეიმედი აქვთ, რომ აზრთა-გაცვლა გამოცვლის შემდეგ მიღებული იქნება თემთა პალატის მიერ გამოშვებული მოქმედების გეგმა, ინგლისის მთავრობის დროს შერჩევის პოლიტიკას იწონებს მთელი პრესა.

„ტაიმსი“ სწერს: „პასუხისმგებლობა, რომელიც აწევს ინგლისის მთავრობას, იმდენათ დიდია, რომ იქ ჩქარა გაგვჭყლეტს ჩვენ, თუ დროზე არ გამოვნახეთ რაიმე გადაწყვეტილება. გერმანიის ახლანდელი დგომარეობა იმდენათ კრიტიკულია, რომ საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრა დაყოვნებას არ ითმენს“.

სამხედრო გადატრიალება ბულგარეთში.

რუსეთის მეზღვაურები ბოლგარეთში მომხდარი გადატრიალების შესახებ.

გლეხთა აჯანყების საფრთხე

ოდესა. 12 ივნისი ბოლგარეთიდან დაბრუნდა გემი „იგნატი სერგეევი“, რომელიც იყო ვარნში ბოლგარეთის გადატრიალების დროს. საუბრის დროს კომანდირმა და პოლიტაკურმა კომისარმა აღნიშნეს, რომ გემს განსაკუთრებული პატივისცემით შეხვდენ. სამხედრო გადატრიალება სავსებით მოულოდნელად — მოხდა. ვარკში გადატრიალება მოხდა 10 ივნისს ღამით. იმ წამსვე, როგორც კი მოხდა გადატრიალება გემზე სანიტარული დარაჯები შესცვალეს საზღვაო მეზღვაურების ყარაულით. 10 ივნისს, დილით, ახალმა ხელისუფლებამ მობილიზაცია იყო რამოდენიმე ჰასაკებს და გამოაცხადა ვარნში საალყო წესები. ქალაქში კომუნისტური კლუბი დახურა ახალმა ხელისუფლებამ. ვარნის კომუნისტების ლიდერი მოკლულია. როდესაც 11 ივნისს გემი მოდიოდა ვარნიდან, მოისმა ზარბაზნებიდან გაძლიერებული სროლა. ფიქრობენ, რომ დაიწყო გლეხების აჯანყება. „სერგეევი“-ს კომანდა აღნიშნავს, რომ ბოლგარეთში საბჭოთა რუსეთის გავლენა ძლიერია. მუშათა ზოგიერთ კოლექტივებზე გამოცხადებულია ჩაქუჩი და ნაგალა ბოლგარეთში ატარებენ სურათებს რუსეთის ცხოვრებიდან.

პარიზი. 13 ივნისი. პარიზში ბულგარეთის მისიის მიერ მიღებული ცნობებით, ბულგარეთის გლეხები ახალ მთავრობას წინააღმდეგობას უმზადებენ. 100 ათასიანი გლეხების არმია ემზადება სატაბტო ქალაქზე შესატევად.

პარიზი. 12 ივნისი. პარიზში მოუთმენლად მოელიან ბალდვინის გამოსვლას თემთა პალატაში და იმედი აქვთ, როგ ინგლისის პრემიერი შესძლებს უარი ათქმევინოს გერმანიას პასიურ წინააღმდეგობაზე.

ბერლინი. 12 ივნისი. გერმანიის კანცლერია კუნომ წარმოსთქვა კარლსრუეში მოკლე სიტყვა პასიური წინააღმდეგობის საკითხის შესახებ, კუნომ ხაზი გაუსვა რურის და რეინის ოლქის მცხოვრებთა მტკიცე ნებისყოფას, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ განაგრძონ პასიური წინააღმდეგობის გზა, რომელიც აირჩია მთავრობამ. კუნომ სთქვა: „უნდა განვაგრძოთ ბრძოლა პასიური წინააღმდეგობის გზით“. კუნოს პოზიციის შეცვლა პასიური წინააღმდეგობის გაგრძელებით აიხსნება, ალბად, მის მიერ მიღებულ ცნობეაით ბალდვინის პოზიციის შესახებ და ნიშნავს მემარჯვენე წრეების სასტიკი ოპოზიციის გავლენით გერმანიის კაბინეტის პოლიტიკის შეცვლას.

ახალი ამბები

— **კატასტროფა რკ. გზაზე.** ღამით 5—6 ივნისს, შამხორის და ყალაბაშის შორის მატარებლები ერთმანეთს შეეჯახა, 30 კაცი მოკლულია და 50 კაცამდე დაშავებული.

— **კომუნალური გადასახადები.** ტფ. აღმს. გამოჰყო კომისია რომელიც ტფ. კომიტეტის ერთი წარმომადგენელის შემადგენლობით შეიმუშავებს კომმ. გადასახადების დიფერენციის პროექტებს და წარმოუდგენს პრეზიდიუმს.

— **სესხი.** ტფ. აღმასკომა გაგზავნა მოსკოვში მუშათა და გლეხთა ინსპექციის განყ. გამგე ამხ. მინასიანცი ზ.-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმბენებლო კომიტეტისთვის სესხის ანგარიში ფულის მისაღებად, თანახმად ამხ. თედო ღლონტის მოხსენებისა.

— **გადასახდელი მანეთი.** ტფილისის აღმასკომმა დაადგინა, მუშა-მოსამსახურეების ბინის ქირაზე დაწესდეს საქონლის მანეთის კურსი იმ თვის საშუალო კურსით, რომლის ქირაც იქნება გადასახდელი.

— **აგარაკები ბავშვებისათვის.** ტფილისის აღმასკომმა ამერიკულ კომიტეტს დაუთმო 200 ბავშვისათვის საჭირო რაოდენობა ბინებისა კიკეთში, მხოლოთ იმ პირობით, რომ წაყვანილ იქნება საუკეთესო აგარაკოთ უღარიბესი ბავშვები განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით და დათმობილ აგარაკებს შეაკათებენ თავის ხარჯზე.

— **ახალი შეფი.** პირველ სახელმწიფო კონსერვატორიამ მიიღო შეფობა ამიერ კავკასიის საგანგებო კომისის წითელ ჯარზე.

— **სამიკიტნოების დახურვა.** ტფ. აღმასკომს მოსდის აუარებელი განცხადებები მუშებისაგან ტფილისის მამიკიტნოების დასახურავად, განსაკუთრებით განაპირა უბნებში სადაც არის გამართული ლოთობა და გარყვნილება.

— **ბირჟა.** 15 ივნისის ოფიციალური კურსი ჩერვონეცი 14,50 ათას. გირგანქა სტერლ. 15,400 ათ. დალარი—3,500 ათ. ოსმ. ქაღალ. ლირა 2,260 ათ. ფრანკი=175 ათასი და სხ.

— **საქონლის ბირჟა.** ფასების დაწევა ადგილობრივ ხორბალზე შეჩერდა.

კარაქი, ყველი და სხ. სარძევე სურსათი სუსტი ტრანსპორტის მიზეზით გაძვირდა. დანარჩენზე უცვლელია.

— **ვერცხლის მანეთიანი.** ვერცხლის მანეთ. ღირს 1,025 ათ, ოქროს ნატეხი 96 სინჯისა 8,650 ათ.—56 მისხ.—4300 ათ. და სხ.

— **მუშების საჩუქარი ბავშვებს.** ჩათახის ქარხნის მუშებმა გაუგზავნეს აუარებელი საჩუქრები ბავშვების სახლს.

მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში

4 კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნული საკითხი

პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე იმავე დროს არის სიგნალი ყველა დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა. კ. მარქსი 1847 წ.

(შემდეგი)

დაუბრუნდეთ ახლა მარქს-ენგელსა და ვიკითხოთ, როგორ ურთიერთობას ამყარებენ ისინი პროლეტარულ მოძრაობისა და ეროვნულ მოძრაობის შორის. ჩემს პირველ წერილში მე ვწერდი: „ყოველი ეროვნული მოძრაობა უნდა დაუქვემდებაროს სოციალისტურ მოძრაობას და მისი დირექტივებით დნდა ხელმძღვანელობდეს“. საკითხის ასე დაყენების შესახებ ჩემი ოპონენტი არაფერს, ამბობს. საკითხის მთავარი ცენტრი კი ამაში არის ჩამარხული. ის სოციალისტური პარტია, რომელიც ამ კითხვების თანაბრად დაყენებას მოისურვებს სოციალისტურ მოძრაობის პერიოდში, ან ეროვნულ საკითხს მისცემს უპირატესობას, ამით იგი უკვე სდგას სოციალ-ნაციონალიზმისა და შოვინიზმის მოლიპულ გზაზე. ასეთი მეთოდი, ასეთი გეზი აუცილებლად გახლეჩს სოციალურ მოძრაობას ⓑ დაასუსტებს რევოლიუციონურ ძალებს. *)

მარქსი მთელი თავისი შეგნებით ინტერნაციონალისტია. მას კარგათ ესმის, რომ **ერთად ერთი რეალური ძალა**, რომელიც მიზან-შეწონილად მოაწესრიგებს კომუნიზმს,—ეს არის პროლეტარიატი და მისი პარტია, რომელიც „თანამედროვე მოძრაობაში წარმოადგენს მომავალ მოძრაობას“. ასეთს პირობებში ყოველივე ფაქტორი უნდა დაემორჩილოს ამ ძალას და მისი ხელმძღვანელობით მოქმედებდეს. მარქს-ენგელსის ინტერნაციონალური ბუნება საუცხოოდ გამოიხატა შემდეგ სახემძღვანელო სიტყვებში: „კომუნისტები დანარჩენ პროლეტარულ პარტიებისაგან მით განსხვავდებიან, რომ, ერთის მხრივ, **სხვა და სხვა ერთა მუშათა მოძრაობაში არჩევენ და იცავენ მთელი პროლეტარიატის საერთო, ეროვნებისაგან დამოუკიდებელს ინტერესებს.**—ხოლო, მეორე მხრით პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ურთიერთულ ბრძოლის განვითარების სხვა და სხვა ხამაში **მუდამ იცავენ მთლიანი მოძრაობის საერთო ინტერესებს...**

კომუნისტების **უახლოესი მიზანი** იგივეა, რაც ყველა დანარჩენი პროლეტარული პარტიისა: მუშათა კლასის ორგანიზაცია, ბურჟუაზიის დამხობა, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობა. („კ-რი მანიფესტი“ გვ. 81).

ნიშნავს ეს იმას, რომ მარქს-ენგელსი უარყოფს ეროვნულ მომენტს და ეროვნულ მოძრაობას?

იმავე, „მანიფესტში„ ვკითხულობთ: „კომუნისტები ყველგან მხარს **უჭერენ ყოველ რევოლიუციონურ მოძრაობას, რომელიც მიმართულია არსებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობის საწინააღმდეგოდ**“. (გვ. 99).

ამ მოსაზრებით „პოლონეთში კომუნისტები მხარს უჭერენ იმ პარტიას, რომელიც აგრარულ რევოლიუციას აღიარებს **პოლონეთის განთავისუფლების პირობად** და რომლებმაც გამოიწვია კრაკოვის აჯანყება 1846 წ.“ (გვ. 98).

„კომუნისტურ ჟურნალში“ № 1, 1847 წ.) ჩვენ შემდეგს ვკითხულობთ: **„პოლონეთი.** ლვოვი (გალიციაში) ორი კეთილშობილი ვაჟკაცი—თეოფილე ვისნიოვსკი და იოსებ კაპუსცინსკი დაიღუპნენ, როგორც წამებულნი, ისინი გმირულად მოკვდნენ და უკანასკნელი მათი სიტყვები იყო: **„გაუმარჯოს პოლონეთს!** მეგობრებო! **იხწავლეთ ჩვენგან, როგორ უნდა სიკვდილი სამართლიან საქმისათვის!**“ ეშაფოტზე რომ მიჰყავდათ, ხალხი ყოველ მხრიდან მათ ყვავილებს ესროდა.—**არ დაღუპულა ჯერ პოლონეთი!**

ესენი უბრალო ნიმუშებია იმის დასახასიათებლად, თუ როგორ იყენებდენ **დაჩაგრულ ერების მდგომარეობასა და ეროვნულ მომენტს** გაბატონებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ პროლეტარიატის კლასთა ბრძოლის საზომით ისინი მარტო დაჩაგრულ ერებისაგან არ მოიხოვდენ თავისუფლებისათვის ბრძოლას, არამედ გაბატონებულ ერების პროლეტარიატსაც უხსნიდენ თუ რა დიდი შედეგები მოყვებოდა მათთვის მათი მთავრობის მიერ დაჩაგრულ ერების განთავისუფლებას.

მე ამის შესახებ უკვე მქონდა საკმაო ცნობები მოყვანილი. ილიუსტრაციის შესავსებად, კიდევ მოვიყვანდი „რეინის ახალი გაზეთიდან“ შემდეგ სახელმძღვანელო დებულებას: „ახლა, როცა გერმანელები იხსნიან თავიანთ საკუთარ უღელს, უნდა შეიცვალოს მთელი მათი საგარეო პოლიტიკა; წინაალმდეგ შემთხვევაში გამოვჭედავთ ჯაჭვებში, რომელშიაც ჩვენ გვიპყრია უცხო ერები, აგრეთვე ჩვენ საკუთარ ახალგაზრდა, მხოლოდ მშობიარობაში მყოფ თავისუფლებას. თავისუფალი რომ შეიქმნეს ამისათვის გერმანეთმა უნდა მისცეს თავისუფლება თავის მეზობელ ერებსაც“ (იხ. მერინგის წიგნი გვ. 129).

1848 წ. 22 თებერვალს კრაკოვის აჯანყებივ სახსოვრად გამართულ სხდომაზე ენგელსი კვლას შეჩერდა გერმანელების მიზნებზე, როგორც გადმოვგცემს **ამხ. რიაზანოვი,** მხოლოდ კრაკოვის აჯანყებამ გადააქცია პოლონეთის საქმე ყველა ხალხების საქმედ თანაგრძნობის ფრაზიდან მან იგი გადააქცია პრაქტიკულ საკითხად ყველა დემოკრატიისათვის. განსაკუთრებით უნდა უხაროდეს გერმანიას, რადგანაც დემოკრატიული პოლონეთის სახეში მას გამოუჩნდა ახალი მოკავშირე, რომელსაც თანაბარი ინტერესები აქვს. **გერმანიისა და პოლონეთის თავისუფლების პირველ ძაფუძველს წარმოადგენს პოლიტიკური გარევოლიუციონერება გერმანიისა, დამხობა პრუსიისა და ავსტრიისა, მეფის რუსეთის დნესტრსა და დვინაზე იქით გადაწევა**“. (გვ. 236 კურსივი ჩემია).

იმავე სხდომაზე გამოვიდა მარქსიც, რომლის სიტყვის შინაარს გვაძლევს იგივე რიაზანოვი, ახლა მას (მარქს) სურს გაურკვიოს თავის მსმენელებს კრაკოვის აჯანყების მნიშვნელობა. მის გაკვეთილს იგი ხედავს იმაში, რომ მან შეაკავშირა ნაციონალური განთავისუფლების საქმე დემოკრატიის საქმესთან და დაჩაგრული კლასის განთავისუფლებასთან. სწორედ ამიტომ არა ფეოდალური პოლონეთის, არამედ დემოკრატიული პოლონეთის განთავისუფლება ხდება ყველა ევროპიულ დემოკრატების ღირსების საქმედ“ (გვ. 236).

თუ რამდენათ დიდი მნიშვნელობა აქვს ერების განთავისუფლებას რევოლიუციისა და თვით გაბატონებულ და დაჩაგრულ ერებისათვის ეს საუცხოოდ დაამტკიცა მარქსმა ირლანდიის მაგალითით, რომლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი და დამატებით ცნობებს ქვევით მოვიყვანთ.

ზემოდ მოყვანილ ისტორიულ ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მარქსი და ენგელსი პრაქტიკულად ცდილობდენ ეროვნული და პროლეტარული მოძრაობისთვის საერთო ნიადაგი მოეძებნათ და შეეკავშირებინათ ეს ორი მომენტი. მაგრამ ამ პრაქტიკულ ცდას, მარქსმა მეტად საინტერესო პრინციპიალური დასაბუთება გაუკეთა, რომელიც შეიძლება ითქვას, პირდაპირ საპროგრამო ხაზის დასაბუთება იყო; 1847 წ. 29 ნოემბერს ლონდონში გამართულ კრებაზე პოლონეთის 1830—31 წ. აჯანყების სახსოვნის აღსანიშნავად მარქსი და ენგელსი ლაპარაკობენ ევროპის პროლეტარიატისათვის პოლონეთის საკითხის მნიშვნელობის შესახებ. თავის სიტყვაში მარქსი იხილავს პოლონეთის საკითხს, როგორც ერთ ნაწილს ხალხთა საერთო-განმათავისუფლებელ ბრძოლისას.

„იმისათვის, რომ ხალხებს მართლაც და შეეძლოთ გაერთიანება, მათ უნდა ქონდეთ საერთო ინტერესები, მაგრამ რომ მათი ინტერესები გაერთიანდნენ, ამისათვის მოსპობილ უნდა იქმნეს საკუთრების თანამედროვე ურთიერთობა, ვინაიდნა საკუთრების თანამედროვე ურთიერთობა აუცილებლად იწვევს ხალხთა თანამედროვე ექსპლოატაციას. საკუთრების თანამედროვე ურთიერთობის მოსპობაში დაინტერესებულია მხოლოდ ერთი — მუშათა კლასი. მხოლოდ მას ერთად ერთს აქვს საშუალება ამის შესრულებისა. პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე არის იმავე დროს გამარჯვება ნაციონალურ და სამრეწველო შეტაკებებზე, რომელსაც ეხლა მტრულად უპირისპირებენ ერთი მეორეს სხვა და სხვა ხალხები. ამიტომ პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე იმავე დროს არის სიგნალი ყველა დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა *) (იქვე გვ. 235).

*) **ფ. მერინგი** გადმოგვცემს ამავე სიტყვის სხვა ნაწილსაც: „დაიღუპა ძველი პოლონეთი,—სთქვა მან (მარქსმა),—ღა ჩვენ ყველაზე ნაკლებად გვსურს მისი აღდგენა. დაიღუპა არა მარტო ძველი პოლონეთი, არამედ ძველი გერმანიაც, ძველი საფრანგეთიც, ძველი ინგლისიც, დაიღუპა მთელი ძველი საზოგადოება. მაგრამ **დაკარგვა ძველი საზოგადოებისა არ წარმოადგენს დაკარგვას იმათთვის, ვისაც არაფერი აქვს დასაკარგი ძველს საზოგადოებაში,** და ეს ეხება ამ ჟამად ყველა ქვეყნების უმთავრეს მცხოვრებლებს.—მარქსი ყველა დაჩაგრულ ერების განთავისუფლების სიგნალს ხედავდა პროლეტარიატის გამარჯვებაში ბურჟუაზიაზე; გადამჭრელ თავდასხმად, რომელიც მიგვიყვანს ყველა დამონებულთა გამარჯვებამდე თავის დამონებულებზე იგი (მარქსი) სთვლიდა ინგლისის პროლეტარიატის გამარჯვებას ინგლისის ბურჟუაზიაზე. **პოლონეთი უნდა განთავისუფლდეს არა პოლონეთში, არამედ ინგლისში** ჩარტისტები ხომ შესძლებდენ თავის შინაურ მტრების დამარცხებას, ამით ისინი დაამსხვრევდენ მთელს საზოგადოებრივ წყობილებას.“ (**მერინგ „კარლ მარქს“** 115) ეს სიტყვა მრავალის მხრით არის საინტერესო. მასთანვე ის ნამდვილს გასაღებს გვაძლევს იმისათვის, თუ როგორ ესმოდა მარქს „მუქებს არა აქვთ სამშობლო“.

*) არ. ჯორჯაძე სწერდა. „ეროვნული კითხვა **აუცილებლივ** სოციალისტურ კითხვას უნდა **დაექვემდებაროს**. სოციალიზმი სამართლიანად სწყვეტს ეროვნულ საკითხს“.

ხან—დონი.

— **დახმარება.** რკინის გზელთა ჯანმრთელობის განყოფილებას მიეცა 65 მილიარდი მანეთი. ... რიცხვში 25 მილიარდი უნდა გადაიდოს ქინინის სასყიდლათ.

— **სამკითხველოები.** ადგილკომის მიერ 1 ... სანერგეების მუშებისათვის გაიხსნება სამკითხველოები—აგრეთვე ალექსანდრეს ბაღში არსებული ... ესია გადაკეთებულ იქნება სამკითხველოთ.

— **საქონლის შემოტანა გერმანიიდან.** ა. კ. ... ვაჭრობის სამმართველო მოლაპარაკებას აწარმოებს გერმანიის მსხვილ ფირმებთან—სხვადასხვა საქონლის შემოტანის შესახებ.

— **ნავთის აუზისათვის.** ა. კ. სახ. ვაჭრობის სამმართველიმ შეიმუშავა სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა ქ. თავრიზში ნავთის აუზის გასაკეთებლათ—რომელიც დაიტევს რამოდენიმე ათას ფუთ ნავთს.

— **მატარებლების შეჯახება.** რკინის გზის სამმართველოს ცნობით მოხდა მატარებლების შეჯახება შამხორსა და ყალაბაშს შორის, რის დროსაც მოკვდა 30 კაცი და დაშავდა 50.

პარტიული

თანახმად ტფილისის კომიტეტის დადგენილებისა, ახლო დროში მოწვეულ უნდა იქნეს ქ. ტფილისში **საქალაქო კონფერენცია** ამისათვის ტფილისის კომიტეტი იწვევს რაიონულ კომიტეტის წარმომადგენლებს გამოცხადდნენ მთავარ ბიუროში შაბათს, ივნისის 19-ს საღამოს სრულ 5 საათზე და წარმოადგინონ რაიონის წევრთა ახალი სიები.

ამხანაგებს ევალებათ აღნიშნულ დროზე უეჭველად გამოცხადდნენ.

ტფილისის კომიტეტი.

დღეს, ივნისის 16-ს, 2 საათზე ცენტრალურ ბიუროში დანიშნულია რაიკომების შეერთებული დიდ-ება, ამხანაგების დასწრება აუცილებელია.

პარტიული ცხოვრება

ქ. ქუთაისში. 9 ივნისს, საღამოს 7 საათზე ... მე-III ინტერნაციონალის კლუბში შესდგა ქ. ქუთაისის და მისი მაზრის საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის წევრთა **კონფერენცია.**

კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ... ბ. რ. მიქაბერიძე (მემარცხენე სოც. ფედერ.) და მდივნათ ამხ. კ. ჩხაიძე (უპარტიო).

დღიური წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის ერთობის შესახებ.

2) ინფორმაციული მოხსენება პროფ. კავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ.

3) დელეგატების არჩევნები სრულიად საქართველოს პროფ. კავშირთა მესამე ყრილობაზე.

4) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხის—2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის გაერთიანების შესახებ—ვრცელ მოხსენებას აკეთებ-ს ქუთ. შრომის განყოფილების გამგე ამხ. ვ. გიგაური. ის მკაფიოდ განმარტავს მე-II ინტერნაციონალის დაარსებისა და მისი 25 წლის განმავლობაში მუშაობის შესახებ, აგრეთვე აღნიშნავს მისი ბოლოს მუშათა კლასისადმი ღალატური მოქმედებას. აგრეთვე განმარტავს 1920 წელში 2 ნახ. ინტერნაციონალის წარმოშობის მიზეზებს და ამ უკანასკნელ ხანები ორივე ინტერნაციონალების შეერთებას. შეადარებს მე-III კომინტერნის მოქმედებას და ხაზს, რომელიც გამოიხატება პროლეტარიატის კეთილ დღეობაში, მე-II და 2 ნახ. ინტერნაციონალების მოქმედება—მუშაობასთან, რაც გამოხატულია მუშათა კლასის ღალატში და ბურჟუაზიასთან კავშირში.

— **მეორე საკითხის**—1 იანვრიდან 1 ივნისამდე ა. წ. გამგეობის მუშაობის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. კალანდაძე, რომელიც აღნიშნავს კავშირთან 4 განყოფილების არსებობას და ყოველ განყოფილების მოქმედება—მუშაობას ამ უკანასკნელ ხუთი თვის განმავლობაში:

ა) **საორგანიზაციო განყოფილების** მუშაობა, როგორც მომხსენებელი აღნიშნავს, საერთოდ დამაკმაყოფილებელია, ეს განყოფილება აერთიანებს ქალაქის და მაზრის ფარგლებში 914 წევრს, 14 ადგილკომს ქალაქში და 5 რაიონულს—მაზრაში. სპეციალურად ინსტრუქტორის უყოლობის გამო თვით გამგეობის წევრები იწვევდენ რაიონებში კრებებს და ადგილკომების სხდომებს და სხვა თემებზე აკეთებდენ მოხსენებებს.

მეოთხე კონფერენციის შემდეგ სარევიზიო კომისიის საშუალებით ყოველ ადგკომის მუშაობა-მოქმედების დეტალურათ გამორკვევის შემდეგ მოახდინა ზოგიერთ ადგკომის გადახალისება.. შემუშავებულ იქნა ადგკომებისათვის განსაკუთრებული ინსტრუქცია მოქმედების შესახებ. ყოველ თვიურად სისტემატიურად იწვევდა ადგკომების კონფერენციას სხვა და სხვა საორგანიზაციო საკითხების გასარჩევად. საერთოდ ამ განყოფილებას მაგარი ქსელი აქვს გაბმული პერიფერიებთან.

ბ) **კულტ-განყოფილება.** ამ განყოფილებას მეოთხე კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და ახალ გამგეობას დაავალა, რომ მეტი ყურადღებით მოპყრობოდა მას.

უკანასკნელ ხუთი თვის განმავლობაში ამ განყოფილებამ კავშირთან დაარსა უსწავლელთა საღამოო სკოლა, სადაც 48 მოსწავლეა, რომლის ხარჯებს თვით განყოფილება ეწევა. აგრეთვე გახსნა საერთაშორისო ენის „ესპერანტო"-ს კურსები, სადაც 36 მსმენელია. დაარსა კავშირთან პროფკავშირების მოძრაობის კურსები, სადაც ჯერ-ჯერობით მაცადინობენ ადგკომების წევრები. თითქმის ყოველ ადგკომთან დაარსებულია სამკითხველო.

მე-III ინტერნაციონალის კლუბში მოწყობილია კინო-სურათები.

ამავე კლუბში ეს განყოფილება ხშირად მართავს უფასო წარმოდგენებს.

აგრეთვე განზრახული აქვს სტენოგრაფიული კურსების გახსნა.

გ) **შრომის დაცვის განყოფილება.** ამ განყოფილების მუშაობა მოკლედ გამოიხატება შემდეგში: ყოველ ადგკომში მას აქვს უჯრედი, რომელიც თვალყურს ადევნებს შრომის დაცვის პირობების წესიერათ გატარებას და დაწესებულებაში ჰიგიენურ პირობებს. აღრიცხვაზე ყავს აყვანილი კავშირის ყველა უმუშევარი წევრი ასამდე, რომელთაც შეძლებისადაგვარად ეძლევათ დახმარება. მიღებულია ზომები მათი ადგილებზე მოსაწყობათ. ამ განყოფილების მიერ ჩატარებულ იქნა შემდეგი კომპანიები: წითელ ფლოტის სასარგებლოდ მთელს ქალაქში და მაზრაში მოაგროვა ას ერთი (101) მილიონი მანეთი. რევოლიუციის მებრძოლთა სასარგებლოთ მოკრიფა და გადაგსავნა დანიშნულებისამებრ ოცდახუთი (25) მილიონი მან. და სანატორიუმის „არიზინდოს"-ათვის შეაგროვა და გადაგზავნა 37 მილიონი მან.

დ) **სატარიფო-საეკონომიო განყოფ.** ამ განყოფილების საშუალებით რამოდენიმე დაწეიებულებებთან დადებილია კოლექტიური ხელ-შეკრულება და სადაც ეს ვერ მოხერხდა ყოველ თვიურად ახდენს სატარიფო შენანხმებას. ამ მოკლე დროში გაარჩია რამოდენიმე განცხადება კოტეგორიის მომატების შესახებ. შეძენილ იქნა ულარიბეს თანამშრომელთა-მუშებისათვის რამოდენიმე რწყვილი საცვლები, ხალათები და შარვლები, რომლებიც ძლიერ დაკლებულ ფასებში და ნისიათ დაურიგდათ, მე 4 კონფერენციის შემდეგ კავშირის ფინანსიური მხარე საგრძნობლად გაუმჯობესებულია.

1 იანვრიდან 1 ივნისამდე

	შემოსულია	გასულია
ა) საწევრო	626.115.000 მ.	754.173.000 მ.
ბ) კულტფონდის	281.777.000	212.055.000
გ) უმუშევართა	105.792.000	31.300.000
დ) დამხმარე კასის	232.179.000	212.560.000

მომხსენებელი განმარტავს, რომ დამხმარების კასამ მუშა-მოსამსახურეთა დახმარების მხრით მოლოდინს გადააჭარბა. მან შესძლო, თანახმად ინსტრუქციისა, ყოველივე მიზანის განხორციელება.

დღეს კავშირის ყველა წევრები ითვლებიან კასის წევრებათ.

ჩვენსა და გლეხებს შორის რომ იყოს ერთნაირი კავშირი, ჩვენმა კავშირმა იშვილა ფარცხანაყანევის თემი, სადაც დღიდან შეფობის მიღებისა.

(რომელიც მოხდა) შეასრულა შემგეგი კულტურული მუშაობა: სამკითხველოს გამოუწერა ყველა ჟურნალ-გაზეთები.

გლეხების მიერ გაუმქმებულ ეკლესიაში მოაწყეს თეატრი, სადაც პრეზიდიუმის მიერ ყოველთვიურად ერთხელ, ან ორხელ გაიგზავნება მე III ინტერნაციონალის კლუბის-ესესი წარმოდგენა დასადგამათ.

მოხსენების გათავებისას შერტანილ ... რამოდენიმე შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი.

კონფერეციამ ერთხიად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია, პირველი საკითხის შესახებ: „მოისმინა რა ამხ. გიგაურის მოხსენება მე 2 და 2-ნახ. ინტერნაციონალების გაერთიანების შესახებ. საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია გმობს იმ პოლიტიკას, რომელსაც ატარებს ბურჟუაზიასთან ერთად ახლა გაერთიანებული ყვითელი ინტერნაციონალი.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

მეორე საკითხის შესახებ: „მოისმინა" რა ინფორმაციული მოხსენება ამხ. ვ. კალანდაძის გამგეობის მუშაობის შესახებ, კონფერენცია სცნობს ამს დამაკმაყოფილებლათ, იღებს ცნობად და გადადის მორიგ საკითხებზე".

ამის შემდეგ ამხ. კალანდაძე მოკლედ აცნობს კონფერენციას სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-III ყრილობაზე, რომელიც მოწვეულია 15 ამა ივნისისათვის ქ. თფილისში, გასარჩევ სხვა და სხვა საკითხებს და მოუწოდებს მას რათა აირჩიოს ამ ყრილობაზე გასაგზავნი ისეთი დელეგატები, რომლებიც გაცნობილი არიან პროფკავშირების ცხოვრებაში და რომლებსაც შეეძლებათ დაცვა მუშა-მოსამსახურეთა ინტერესებისა, რისთვისაც თან წაიღებენ ადგილობრივ მუშაობის მასალების სხემას.

ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებათ კონფერენციამ ერთხმად აირჩია: 1) ამხ. ვალ. კალანდაძე (კომუნისტი) და 2) ამხ. დომენტი დოლიძე (მემარცხენე სოც.-ფედრ.) და ამათ კანდიდატებათ ამხ. დ. ქვარიანი (მემარცხენე სოც. ფედერ.). ბოლოს ამხ. კალანდაძემ ცნობად მოახსენა კონფერენციას, რომ კავშირის გამგეობას განზრახული აქვს ინდივიდუალური საწევრო გადასახადის შემოღება, რაც გამოწვეულია მით, რომ კავშირში არიან დარჩენილი, მიუხედავათ წევრთა გაწმენდისა. არა სასურველი ელემენტები, რომლებიც კავშირის დავალებებს არ ასრულებენ და როდესაც შემოღებული იქნება თავისუფალი წევრობა, ასეთი ელემენტები ბუნებრივად ჩამოვგშორდებიან, რომლის შემდეგ მომავალ მუშაობაში ხელი არ შეგვეშლება.

კავშირიც თავის მხრით ეცდება, რომ დარჩენილ ნამდვილ წევრთა ინტერესები მტკიცეთ დაიცოს და არა წევრთა ნაცვლათ წამოაყენოს ის უმუშევარი წევრები, რომლებიც აყვანილი ყავს აღრიცხვაზე.

კონფერენცია დაიხურა ღამის 10 საათზე.

ამრიგად, როგორც ხევით მოყვანილ ცნობებიდან დავინახეთ, ამ პატარა კავშის ცოტა ხნის განმავლობაში ბევრი რამ და დიდი საქმე გაუკეთებია. უსურვებთ შემდეგში უფრო მეტს ენერგიას და ყოველივე დასახულ მიზნების კეთილად დაგვირგვინებას მშრომელ წევრთა საკეთილდღეოთ.

მ. ცხენისწყალისპირელი.

ქ. ქუთაისი.

ეს ციტატა არის მეტად ძვირფასი ნიმუში ... ის გამოსარკვევათ, თუ პრინციპიალურად როგორ ... სწორით აყენებდა მარქსი ერთის მხრითა ხალხებს, ერების. და მეორეს მხრით, პროლეტარიატის ... ავარი მიზნების შეუღლების საკითხს. ორივე ამ ... თეულებს (ერებსა და პროლეტარიატს) ჩაგრავს ... კუთრების თანამედროვე ურთიერთობა, საკუთ... ების მოსპობა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს ... ტომ მისი გამარჯვება არის იმავ დროს გამარ... ება ყველა დაჩაგრულ ერებისა.

ერების ყვლეფის მთავარი მიზეზი მარქსმა ... ოსძებნა ეკონომიურს ურთიერთობაში, საკუთ... ების თანამედროვე ფორმებში. იგივე ფაქტი, კაპიტალიზმი ყვლეფს პროლეტარიატს,—... ტომ უკანასკნელის განთავისუფლებით თავისუ... ლებიან პირველნიც (ერები). საკითხი სწორედ ... ნათლად არის დაყენებული: **ერების ჩაგვრის ... ავარი მიზეზი თანამედროვე მეურნეობის ურ... ერთობაში მარხია.** პოლიტიკურად შეიძლება ... სავსებით დამოუკიდებელი იყოს, მაგრამ ეკო... მიურად იგი საექსპლოატაციო ობიექტს წარმო... გენდეს დიდ ტანიან სახელმწიფოების კაპიტალის.

ამით მარქსმა მოსძებნა პრინციპიალური საძველი, რომელზედაც შესაძლებელი ხდება პროლეტარიატისა და ერების, ხალხების ინტერესების ... ავშირება, მათი გაერთიანება და შეუღლება. საფუძველი საკუთრების თანამედროვე ურთიერთობის მოსპობაშია შარხია, რომლის შემდეგაც იწ... ა განთავისუფლება როგორც პროლეტარიატის, ისე ... ების. ამიტომ არის, რომ მარქსი პოლონეთის (ე. ... ეროვნულ) საკითხში ხედავს ერთ ნაწილს ხალხ... საერთო განმათავისუფლებელ ბრძოლისას.

მარქსის პოლიტიკისა და მისი სამოღვაწეო ... პროგრამის გასაგებად უფრო ბევრ მასალას იძლევა ... პოლიტიკური წერილები და მიწერ-მოწერა ... ის მეგობარებთან, პრაქტიკული გეგმები ინტერ... ციონალში, ვინემ სველ-ტნიანი მეცნიერული გა... ... ვლევანი. თუ გვინდა მარქსის ეროვნული-პოლი... ... ა გაიგოთ, ამ მასალებს უნდა მიაქციოთ არსე... ... ი ყურადღება და თქვენ იპოვით მის სრულ სა...

ზემოდ აღნიშნულ სიტყვაში მარქსმა გარკვე... ... ი მოხაზას ის პროპორცია, რომელიც უნდა არ... ... ობდეს პროლეტარიატის მოძრაობასა და ეროვ... ... ლ მომენტს შორის. მარქსისათვის რევოლიუციის ... ... ატება არის უზენაესი კანონი, ამ წარმატების ... ... ავარი ძალა არის პროლეტარიატი ... ამიტომ მის... ... ს პროლეტარიატის მოძრაობა არის პირველი ფაქ... ... ი, რომელსაც უნდა დაემორჩილოს სხვა ფაქ... ... ტორები. ეროვნული საკითხი მარქსმა კლასის ბრძოლის პრინციპს საზომით განიხილა და გარკვეულ კლასთა ბრძოლის კალაპოტში მოაქცია.

მაგრამ მარქსი, როგორც რევოლიუციონერი, რომლისათვისაც Salus reuolutiae—Suprema lez-არის—თავის უმთავრეს ყურადღებას კლასთა ბრძოლის პრინციპს. მუშათა ორგანიზაციას და მის საომარ მდგომარეობას აქცევს, მისი მოღვაწეობის პროგრამაში ეროვნული საკითხი არ მიდის სწორი ხაზით და ხშირად იჩრდილება. მაგრამ **ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მის რევოლიუციონურ სისტემაში შეუსრულებელი იყოს პრინციპიალურად ეროვნული საკითხის მოთავსება.** მარქსი ხშიოად ივიწყებს ეროვნულ მომენტს. ეს იმით აიხსნება, რომ მას სწამს მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვება გაანთავისუფლებს ყველა დაჩაგრულ ერებსა. ამიტომ მარქსის მთავარი ყურადღება პროლეტარიატის გამარჯვებისაკენ არის მიპყრობილი.

ეროვნული მომენტისა და პროლეტარულ მოძრაობის შორის მარქსმა შესძლო **პრინციპიალურს ნიადაგზე** მისაღები პროპორციის, სწორწონაობის დამყარება: განთავისუფლება პროლეტარიატისა გაანთავისუფლებს ყველა დაჩაგრულ ერებს;—ასეთია ამ პრინციპიალური დებულების საფუძვლები; აქედან გადმომდინარეობს მეორე დებულება: ეროვნული მოძრაობა უნდა დაექვემდებაროს პროლეტარულ მოძრაობას, პროლეტარიატის მიზნებს, პირველი მეორეს დირექტივებით უნდა ხელმძღვანელობდეს. პრინციპიალურად აქ საკითხი, ჩემის აზრით სწორად არის დაყენებული. მაგრამ, როდესაც ეს დებულება რეალურად განაღდებას მოითხოვს, კონკრეტიულად დგება, მარქს-ენგელსი ხშირად არღვევენ **ამ პროპორციას** და ამა თუ იმ ეროვნების მოთხოვნილებას არა თუ არ უქვემდებარებენ პროლეტარულ მოძრაობას, **არამედ ხრულს უარყოფაზედაც მიდიან.** ასე მოუვიდათ მათ 1848—51 წლების მოძრაობის დროს, როდესაც სასტიკად და მეტად უხეშად გაილაშქრენ სლავიანთა ერების მოძრაობის წინააღმდეგ და მთელი ნაციონალები რეაქციონერებად გამოაცხადეს. როგორც აღვნიშნე, ეს იყო მარქს-ენგელსის **ეროვნული პოლიტიკის** ძირითადი შეცდომა, რომელსაც თავისი ისტორიული მიზეზები ჰქონდა და რომელსაც მე შემდეგ თავში შევეხები ვრცლად.

აქ მე მოვიყვან ენგელსის 1882 წ. ბერნშტეინისადმი მიწერილს წერილიდან ადგილს, საიდანაც მკითხველი ნათლად დაინახავს, როგორც დადებითს, ისე უარყოფითს მომენტებს ენგელსის ეროვნულ პოლიტიკაში.

„არა საკვირველი, ჩემმა წერილმა რომ თქვენ აზრი არ შეგაცვლევინათ, თქვენ უკვე გაჟღენთილი ხართ თანაგრძნობით „ჩაგრულ" სლავთა მიმართ. ჩვენ ყველამ დასაწყისში, ლიბერალიზმისა და დემოკრატიზმის საფეხურების გავლისას, თან მოვიტანეთ ეს თანაგრძნობანი ყველა „ჩაგრულ" ერებისადმი; და მე ვიცი თუ რა შრომა—როგორც დროის, ისე შესწავლის მხრით, მიღირდა მე ბოლოს და ბოლოს მათგან განთავისუფლება,—მაგრამ სამაგიეროთ უკვე საფუძვლიანათ...

ჩვენი საქმეა—ვიყოთ თანამშრომელნი დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის განმანთავისუფლებელ ბრძოლისა და ამ მიზანს დაუმორჩილოთ ყველა დანარჩენი. და რამდენათ საინტერესო არ უნდა იყოს ჩვენთვის ბალკანელი სლავები და სხვა მსგავსი ხალხები (ერები), მაგრამ როდესაც მათი სიჩქარით მათი სწრაფვა განთავისუფლებისადმი ადგება პროლეტარიატის ინტერესების კოლიზიებს,—მშვიდობა მათ. ელზასელებიც ჩაგრულნი არიან... მაგრამ, თუ რომ ისინი უცილოთ დაწყებულ რევოლიუციის წინა დღეს მოინდომებენ გამოიწვიონ ომი საფრანგეთსა და გერმანიის შორის, გააღვივონ კვლავ მტრობა ამ ორ ხალხთა შორის და ამ რიგათ დააგვიანონ რევოლიუციის დასაწყისი, მაშინ მე ვამბობ: შესდეგ: **თქვენ შეგიძლიათ შეიარაღდეთ მოთმინებით იმდენათ მაინც, რამდენათაც იმით შეიარაღდა ევროპის პროლეტარიატი. განთავისუფლდება ის და თქვენც იქნებით თავისუფალნი;** მანამდე კი ჩვენ არ შეგვიძლია მოვითმინოთ, რომ თქვენ მებრძოლ პროლეტარიატს **უკუქცევა** მისცეთ. ასე სლავების საქმეც: **პროლეტარიატის გამარჯვება ანთავისუფლებს მათ ჩეშმარიტათ და აუცილებლათ, და არა დროებით და ფიკტიურათ, როგორც ცარიზმი.** და აი რატომ არ უნდა გამოიჩინონ იმათ,—იმათ, რომლებმაც ჯერ კიდევ ამდენ ხანს ვერაფერი შეიტანეს თავის მხრით ევროპის პროგრესში, და ყოველთვის კი იყვნენ მისი შემფერხებელნი,—იმდენი მოთმინება მაინც, როგორიც ჩვენმა პროლეტარებმა... ისინი იყვნენ და დარჩნენ ცარიზმის მსახურებათ, პოლიტიკაში კი არა აქვს ადგილი პოეტურ სიმპატიებს. და თუ მათი აჯანყება ემუქრება მსოფლიოს საომარ ცეცხლის დანთებით, რომელსაც შეუძლია მოსპოს მთელი ჩვენი რევოლიუციური სიტუაცია,—მაშინ ისინიც და იმათი უფლებაც ნადავლის პირუტყვულ წილში უნდა იქნეს ყოველგვარ შებრალების გარეშე მსხვერპლათ შეწირული ევროპის პროლეტარიატის ინტერესებისათვის. რაღაც ორიოდე ჰერცეგოვინელების შესახებ მსოფლიო კოცონის დანთების წამოწყება, როძელიც ათასჯერ მეტი ადამიანის მსხვერპლი ეღირება, ვიდრე თვით ჰერცეგოფინის მთელი მოსახლეობის რიცხვი,—არა, ამაში არ უნდა გამოიხატებოდეს პროლეტარიატის პოლიტიკა, ჩემის აზრით"! (ხაზი ჩემია). ამ მკაცრად დაწერილს წერილში სამი სახელმძღვანელო დებულება არის წამოყენებული: 1) ერებს ჭეშმარიტად და აუცილებლად, და არა ფიქტიურად და დროებით ანთავისუფლებს პროლეტარიატის გამარჯვება, სოციალიზმი: 2) პროლეტარულ მოძრაობის ინტერესებს უნდა დაუმორჩილო ყველა დანარჩენი მოძრაობა, მათ შორის ეროვნულიც, 3) როდესაც ეროვნული მოძრაობა არსებითად ეწინააღმდეგება (**вступает в коллизию**) პროლეტარიატის ინტერესებს, პირველი უკანასკნელს ეწირება მსხვერპლად. ენგელსი ღებულობს უკიდურესს შემთხვევას. როდესაც ეროვნული მოძრაობა იწვევს საერთაშორისო ომებსა და რევოლიუციონური სიტუაციის მოსპობას. მისი აზრით, ავსტრიის სლავიანმა ერებმა 1848 წ. რევოლიუციის ინტერესები მსხვერპლად შესწირეს ეროვნულ ინტერესებსა და რუსეთის რეაქციონურ მისწრაფებებს. აქედან წარმოსდგა ასეთი მკაცრი კილო ამ ერებისადმი. მაგრამ ენგელსი ივიწყებს, რომ ამაში ერები და მისი მშობელი მასები კი არ იყვნენ დამნაშავენი, არამედ ხელმძღვანელი წრეები.

მიუხედავად ამისა, მარქს-ენგელსი ეროვნულ მომენტსაც იყენებენ პროლეტარული რევოლიუციის გასავითარებლად. ეს განსაკუთრებით ნათელი შეიქმნა მათი პოლიტიკიდან პოლონეთისა და ირლანდიისადმი. მეიერისადმი მიწერილს ზემოდ მოყვანილ წერილიდან გარკვეულად მტკიცდება, თუ როგორ მოხდენილად ცდილობს მარქსი გამოიყენოს ეროვნული მომენტი რევოლიუციის გასამარჯვებლად. ირლანდიის განთავისუფლება წარმოადგენდა მარქსის აზრით წინასწარ პირობას პროლეტარული რევოლიუციისათვის ინგლისში.

ამ გვარად ირლანდიის განთავისუფლება, (ეროვნული მომენტი) მარქს უნდა რევოლიუციის გასაჩაღებლად, პროლეტარული მოძრაობის გამოსაწყევად, ყველა დაჩაგრულთა გასანთავისუფლებლად.

მაგრამ ნიშნავს საკითხის ასე დაყენება იმას, რომ მარქსი **იგიწყებს ირლანდიის ინტერესებს** (ე. ი. ერების ინტერესებს) და ამ მომენტსაც არ იღებს თავის რევოლიუციონურ პოლიტიკის დროს?

(შემდეგი იქნება).

ხან—დონი.

შტატების შემცირება

პატივცემულ გაზეთ „ტრიბუნა“-ს № 492-ში მოწინავე წერილი „შტატების შემცირებისათვის“ სრულიად სამართლიანად უდგება შტატების შემცირების საკითხს ამიერკავკასიის ფედერაციაში, რაც გამოხატულია ასეთების შემცირებისას სახელმძღვანელო პრინციპად სახელმწიფო ენის ცოდნის მიღება მხედველობაში.

იმის თქმა, რომ სახელმწიფო ენის მცოდნე მომზადებული და ცოდნით აღჭურვილი პირები არ გვყავდეს, არ შეეფერება სრულ სიმართლეს.

არიან ისეთი სახელმწიფო ენის მცოდნე პირები, რომელთაც თავის სტაჟის მიხედვით შედარებით დაბალი თანამდებობა უჭირავთ, ან სულ უადგილოთ არიან.

თუ დედა ქალაქს ასეთი ძალები საკმაოთ არ ყავს, სხვა დაბა-ქალაქებიდან შეიძლება ასეთ პირების გაწვევა.

არ კმარა მარტო ქაღალდებზე ლამაზ ფრაზების წერა, არამედ საჭიროა დაწესებულებებში ნაციონალიზაციის საჩქაროდ პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარება.

ვიკმაროთ ამ საკითხზე რამოდენიმე წლობით დავა. აუცილებლათ უნდა გატარდეს ცხოვრებაში ის, რაც აკსიომაა და რაზედაც რუსეთის კომპარტიის მე-XII ყრილობაწე ყველა ორატორები ერთი ენით ხაზს უსვამდენ.

ამის შემდეგ შტატის შემცირებისას აგრეედვე უნდა იქნას მიღებული მხედველობაში ამა თუ იმ თანამშრომლის ეკონომიური მხარე და ერთი და იმავე ოჯახის 2—3 წევრის სამსახურში ყოფნა (განსაკუთრებით ცოლ-ქმარის), თუმცა პრინციპიალურად ვერასოდეს ვერ ვიქნებით იმის წინააღმდეგ, რომ ოჯახის ყველა წევრები იქმნან გაბმული საერთო მუშაობაში, მაგრამ რადგან უმუშევართა რიცხვში, რომელიც ამ ბოლო დროს ძალზე გაიზარდა, მრავალი ღარიბი და გაჭირვებული ამხანაგებია, ძალაუნებურათ ამ პრინციპების წინააღმდეგ უნდა წავიდეთ.

ამასთანავე მოგვყავს ერთი სამართლიანი ნაბიჯი.

11 ამა ივნისს, თანახმად ამიერ კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულის საქართველოში დეპეშისა, ქუთაისის ხაზინაში მოხდა შტატის შემცირება.

შტატის შემოკლებაში ღებულობდნენ მონაწილეობას პროფკავშირების წარმომადგენელი ამხ. მიქაბერიძე, შრომის ინსპექტორი ამხ. გულიევრდაშვილი, ადმინ. მხრივ ხაზინადარი ამხ. მისაბიშვილი და ადგილკომის თავჯდომარე ამხ. მენაბდე. შტატს გარეთ დატოვებულ იქნენ 4 თანამშრომელი. პერსონალურად შეეხო: ორი მოანგარიშეს—დარველიძეს და ვაშაკიძეს, მემანქანეს—მოწენიძეს და ფულის მთვლელ გალავადკინს.

პრ. კავშირის წარმომადგენლის და შრომის ინსპექტორის წინადადებით დადგენილ იქნა. ხაზინაში მომუშავეთა ირემაძის და კუჭუხიძის ცოლები, რომლებიც მსახურებენ სხვა დაწესებულებებში, მოხსნილ იქნან და მათ ადგილზე გაიგზავნონ შტატს გარეთ დარჩენილ ულარიბეს თანამშრომლები დარსაველიძე და ძონენიძე. როდესაც კომისიამ ამ თანამშრომელთა ცოლების მოხსნა დაადგინა და არა თვით მათი მოხსნა და შტატ გარეთ დატოვება, უთუოდ მას მხედველობაში ქონდა ირემაძის და კუჭუხიძის ხაზინისათვის აუცილებელი და სარგებლიანი მუშაობა.

ამ რიგად ყოველ შტატის შემოკლებისას რამოდენიმეჯერ აწონ-დაწონისა და ასჯერ გაზომის შემდეგ უნდა იქნას ეს თუ ის საკითხი გადაჭრილი.

ბევრი მაგალითი ვიცით, რომ ცოლქმარი, რომელთა ოჯახი მცირე რიცხოვანია, მოკალათებულია კარგ ადგილებზე და ამავე დროს ცოლშვილიანი მუშა-მოსამსახურე რამოდენიმე თვეებით ყოველ დღე ატუზულს ხედავთ ბირჟის კარებთან და უადგილოობით შიმშილობის გამო ლამის არის სული ამოხდეს. უნდა ვიცოდეთ, რომ მუშურ-გლეხურ სამეფოს არ სწამს მრავალი უმუშევარი და აგრეთვე უსაფუძვლო პროტექცია, აგრეთვე არც ის სწამს, რომ მისი ოჯახს სხვა გაუგებარ ენით განაგებდეს.

მ. ცხენისწყალისპირელი.

წერილები რედაქციის მიმართ

პასუხის ნაცვლად ამხ. სერგო გორგაძეს.

„თავი ზომსა გარდგიფდია“.

შოთა.

თქვენი გაზეთის 494 №-ში მოქალაქის სერგი გორგაძის მიერ მოთავსებული წერილის გამო სათაურით: „უბოდიშო ცილისწამება“, გთხოვთ დამისტამბოთ ამავე გაზეთის უახლობელეს №-ში შემდეგი განცხადება:

ჩემ მიერ მოხსენებული საისტორიო და საეთნ. საზოგადოების საბჭოს დადგენილება ხელნაწერების სარგებლობის შესახებ რომ მართლა არსებობს, ამას ბ. სერგი. გორგაძეც ადასტურებს (იხ. მისივე დასახელებული ოქმი 1913 წლის 1-ლი მაისისა, № 76, მუხლი 6).

ხოლო რაც შეეხება იმას, თუ ვის ეკუთვნის ამ ფორმის წინადადება, აქ მე ვამბობ მხოლოდ იმას, რისაც თვალით მნახველი ვარ და რაც დამამახსოვდა. ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ამგვარი წინადადებისა და დადგენილების ფორმულა საზ. მუზეუმის ხელნაწერებით სარგებლობის შესახებ, სულ ერთია, ამგვარი საქმე ყველას სამსახურად ჩაეთვლება, თუ სახეში მივიღებთ იმ პატივსადებ მიზეზს, ანუ, უკეთ, იმ აუცილებელ საჭიროებას, რომლითაც ხსენებული დადგენილება გამოწვეული იყო. მაგრამ აქ მე საჭიროდ ვრაცხ აღარ განვაგრძო ამაზე საუბარი, და მხოლოდ მიუთითო დაინტერესებულთ წმინდა ლიტერატურულ ფაქტზე, რომელიც დღემდის უარყოფილი არ არის, და საიდანაც მსურველი ცხადად დაინახავს, თუ როგორი ცილისწამებაა ჩვენ მიერ სრულიად უპრეტენზიოდ და გაკვრით აღნიშნული ფაქტი: იხ. ამის შესახებ „ვეფხის-ტყაოსანი“ სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გვ. მე-3-ე.

რაც შეეხება იმას, რომ ოქმზე მეც ხელი მიწერია, ეს არავის სმენისათვის საჩოთირო არ არის, რადგან საზოგადო ინტერესის თვალსაზრისით და ზემორე დასახელებული პატივსადები მიზეზითაც, ჩემს ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა, თუმცა ხსენებული დადგენილება ჩემებრ არა ჩვენი საზოგადოების გამოცემისთვის მომუშავეს ხელნაწერების სარგებლობის წინანდელ თავისუფლებას აღარ ანიჭებდა.

ბ. სერგო ასახელებს რაღაც ჩემ მიერ შეთხზულ და ნამდვილად კი არ არსებულ კომისიას, რომელიც ვითომდა ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, და თანაც ამას უწოდებს მისთვის ჩემის მხრით „მეორე ცილის წამებას“.

ამგვარი განცხადება კი ჩვენთვის, მეტი რომ არა ვსთქვათ, პირდაპირ გასაოცარია:

მთელს ჩემს წიგნში ერთი სიტყვაც კი რაიმე კომისიის შესახებ არა ხვდება.

მე გამოთქმული მექვს მხოლოდ, რომ წ. კ. გამ. საზ. საგამ. სექციის თავმჯდომარის მიერ „ვეფხის-ტყაოსნ“-ის გამოცემის შესახებ მოწვეულ მეორე კრებაზედ ბ. გორგაძე აშკარად ამცირებდა ჩემს გამოცემას, მაგრამ ნუ თუ ესეც ცილისწამებაა?!..

ეს არა თუ ცილისწამებაა, ბ. გორგაძე ყოველთვის აღტაცებით ეგებება ჩემი გამოცემის შესახებ ამა თუ იმ კომპეტენტური პირის მიერ გამოთქმულ არა დადებითს აზრსა და, საცა დასჭირდება, „იყენებს კიდეც თავის სასარგებლოდ.*)

მაგრამ ჩვენ ამას როდი ვსწუხვართ, რადგან ერთის ანდაზისა არ იყოს, nihil mea interest, guid de me homines imperiti loguantuv.

მხოლოდ აქ უნდა აღვნიშნო ერთი რამ:

როდესაც 22-ე გამოცემაზე ლაპარაკობენ, ყოველთვის და ყველას ავიწყდება, რომ 22-ე გამოცემა უნდა დაფასებულ იქმნას არა ცალკე, არამედ მისივე დამატებად გამოსულ იმ ორ წიგნაკთან ერთად, რომლებსაც ბ. სერგი გორგაძეც კარგად იცნობს.

დასასრულ უნდა გამოვტყდე, რომ მოქალაქე სერგი გორგაძეს როგორც საკმაოდ საპატიო პირს, სრულიად აღარ შეჰფერის მოპირღაპირის მიმართ სიტყვების ისეთი თავ-შეუკავებელი ხმარება, რომელიც ისე ჩინებულად ახასიათებს მისი წერილის რიხიან შესავალს.

იუსტინე აბულაძე.

*) ისე როგორც ამ შემთხვევაში უწოდებს მას „უხეიროსა“ და სხვა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ᲮᲔᲝᲕᲜᲔᲑᲘ

მეორე საგელმწიფო კონსერვატორია მეორე სახელმწიფო კონსერვატორია გადაკეთდა ყოფილ ქართულ ფილარმონიულ სკოლიდან ამ ორი წლის წინედ. ამ ხნის განმავლობაში თავისი წარმატებით მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. ამ კონსერვატორიაში მოწაფეთა რიცხვი ამ ჟამად უდრის 895-ს, რომელთა შორის ნახევარზე მეტი ქართველობაა. კონსერვატორიის დირექტორად კომპოზიტორი დ. არაყიშვილია, რომელიც დიდის ენერგიით და სიყვარულით უძღვება ნაკისრ მოვალეობას ამ კონსერვატორიის განმტკიცება—აღორძინებას ამ ხნის განმავლობაში ბევრი დაბრკოლებები ელობებოდა წინ, რომლებიც თითქმის დაღუპვას უქადიდა. მაგრამ აქ მოღვაწეთა დაუღალავმა შრომა-საქმიანობამ იხსნა კონსერვატორია განსაცდელისაგან და თვისდა სასახელოდ ასეთ პირობებში სასურველ დონე-სიმაღლეზედ აიყვანა კონსერვატორიის საქმიანობა, და შესძლო შეუძლებელი, რამაც თვით ამ კონსერვატორიის რევიზიაც კი განაცვიფრა გიკვირთ როდესაც ეცნობით საქმის ვითარებას თუ ამ გვარს პირობებში როგორც შესძლეს ასე წარმატებით საქმის გაძღოლა. კონსერვატორიის ხელმძღვანელთ დიდი ყურადღება აქვთ მიქცეული ქართველ ახალგაზრდობის გულში მშობლიური მუსიკალური კულტურის განვითარების აზრის ჩანერგვისაკენ. ამ მხრივ საყურადღებოა ახლად ღირებული „ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება“, რომელიც კონსერვატორიის წიაღიდან აღმოცენდა. მისი უმთავრესი მიზანია ქართულ სიმღერების შეკრება—დამუშავება, და ამნაირად გავრცელება ხალხის ფართო მასაში მუსიკალური ცოდნა კულტურისა. ამ მხრივ ამ ახალგაზრდათა საქმიანობას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ამის გარდა გასული სეზონის განმავლობაში კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა რამოდენიმე დიდათ საინტერესო კვარტეტული კონცერტი, რომელზედაც შესრულებული იქმნა ბევრ გამოჩენილ კომპოზიტორთა ნაწარმოებნი კვარტეტი შესდგებოდა იმავე კონსერვატორიის პროფერ მასწავლებელთაგან.

ამ ჟამად კონსერვატორიის გამოცდები დასრულდა და მომავალ კვირას 17 ივნისს დღის 12 საათზე. კონსერვატორის დარბაზში შესდგება წლიური აქტი საკონცერტო განყოფილებით. ხოლო 19 სახელ. ოპერის თეატრში გაიმართება კონსერვატორიის მოწაფეთა საჩვენებელი საღამო, რომლის პროგრამა შესდგება სხვა და სხვა ოპერების ნაწყვეტებიდან. დ. არაყიშვილთან ერთად ამ კონსერვატორიაში თავდადებით იღვწიან საქმის წარმატება აღორძინებისათვის ზ. ბარათაშვილი და ი. აბაშიძე.

ვ. ბ.

პიესა „ღალატი“ ეკრანზე. ა. სუმბათაშვილმა-იუჟინმა დაასრულა მოლაპარაკება ამერიკის კინო წარმომადგენლებთან მისი პიესა „ღალატის“ ეკრანზე გადაღების შესახებ. სცენარი დაწერილია თვით ავტორის მიერ. გადაღება მოხდება თვით საქართველოში ქართულ დრამის მსახიობთა და რეჟისორების მონაწილეობით. ძთავარ ხელმძღვანელათ იქნება ამერიკის კინოს გამოჩენილი რეჟისორი, რომელიც განსაკუთრებით პარიზიდან ჩამოვა. სურათის გადაღებაში მონაწილეობას მიიღებს აგრეედვე თვით ა. სუმბათაშვილიც. შეკერილია განსაკუთრებული ტანისამოსები და მოწყობილი იქნება განსაკუთრებული ბუტაფორია.

სახელმწიფო აკადემიური თეატრი
დასის შემადგენლობა 1923—24 წლის სეზონისათვის.

დამტკიცებულია მთავრობის მიერ.

ქ ა ლ ე ბ ი:

ტასო	აბაშიძე.
ცაცა	ამირეჯიბი.
ვერა	ანჯაფარიძე.
სუზანა	ბეჟანიშვილი.
ბარბარე	გამრეკელი.
ნინო	დავითაშვილი.
ელენე	დონაური.
ალისა	ქიქოძე-აბაშიძე.
ანა	შოთაძე
ბუჟუჟა	შავიშვილი.
ნინო	ჩხეიძე.
ცეცილია	წუწუნავა.
თამარ	ჭავჭავაძე.
ნატალია	ჯავახიშვილი.

ვ ა ჟ ე ბ ი:

ნიკო	გვარაძე.
ნიკო	გოცირიძე.
გიორგი	დავითაშვილი.
აკაკი	ვასაძე.
მიხეილ	ვარდოშვილი.
პლატონ	კორიშელი.
მიხეილ	ლორთქიფანიძე.
დიმიტრი	მჟავია.
კონსტანტინე	მიქაბერიძე.
ალექსანდრე	ჟორჟოლიანი
დათიკო	ჩხეიძე.
უშანგი	ჩხეიძე,
შალვა	ღამბაშიძე.
აკაკი	ხორავა.
ვიაჩესლავ	ჯიქია.

მორიგე რეჟისორები:

ალექსანდრე	ახმეტელი.
მიხეილ	ქორელი.

რეჟისორის თანაშემწენი:

ლადო	ანთაძე.
ალექსანდრე	გველესიანი

მოკარნახე:

პაპუ	ჟორდანია.

მ ხ ა ტ ვ ა რ ი.

ვალერიან სიდომონ-ერისთავი.

მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ნაწილის გამგე.

კონსტანტინე მარჯანიშვილი.

სახელ. აკად. დრამის თეატრის გამგე: **ღ. ჩხეიძე.**

ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მომწყობი კომიტეტი

აცხადებს

საჭარო ვაჭრობას

სადგურის მოძრავი კომპრესორების და პერფორატორების მისაწოდებლად კლდეში სამუშაოდ, ამასთანავე მიწოდებაში შედის: 1) ორი მოძრავი კომპრესორის სადგური, თვითეულის მოქმედება უნდა იყოს დაახლოვებით შესაქაჩავ ჰაერის 3 კბ. მეტრი წუთში და შეკუმშვითი ზედდაწოლა 7 ატმოსფერა. სადგური უნდა შესდგებოდეს ნავთის მამოძრავებელისა და კომპრესორისაგან, რომელნიც შეერთებული უნდა იყონ საერთო კოჭით და მოთავსებული რწინის ჩარჩოებზე საგორავებით და უნდა იყოს გამოსადეგი სოფლის შარაგზებზე გადასატანად. 2) 8 პერფორატორი საბრუნავი ბურღით ქვიშიან ადგილზებზე გასატარებლად. ბურღის წვეტის დიამეტრი უნდა იყოს არა ნაკლები 1 ნახევარ დიუმისა, გატარების სისწრაფე არა ნაკლები 170 მილიმეტრისა წუთში. 3) 20 კომპლექტი ჯავშნიანი შლანგებისა, 15 მეტრი სიგრძე თვითეული, წვეტით, დასამაგრებელი სანაგრიელით (хомут) 4) 8 კომპლექტი ფოლადის ბურღი, ამასთან თვითეულ კომპლექტში უნდა იყოს 3 ბურღი, ერთი სიგრძით 500 მილიმ., მეორე 1000 მილიმ. და მესამე—1500 მილიმ. 5) 2 კომპლექტი ინსტრუმენტი ბურღების ბოლოების შემოსაჭერად. 6) 1 ტონა სპეციალური საბურავი ფოლადი. წინადადებას თან უნდა დაერთოს ნახაზები და ვრცელი ტეხნიკური აღწერილობა და აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს თვითეული საგნის წონა. მოძრავი ხადგურების და ხელსაწყობის საფასურში უნდა შევიდეს სათადარიგო ნაწილების კომპლექტები. ფასები უნდა იყოს აღნიშნული ჩერვონცებში მუშაობის ადგილზე მიტანით (სად. ავჭალა, ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მომწყობი კომიტეტის ჩიხი). მანქანის და მოწყობილების დადგმით და ამუშავებით. საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ ხელსაწყოს ფასებში უნდა იქნას შეტანილი საბაჟო გადასახადი. წინადადებაში უნდა იქნეს აღნიშნული ფასის გადახდის პირობები და პირობის შეუსრულებლობისათვის ჯარიმა, თუ რომ ვადაზე არ იქნება ადგილზე მიტანილი და დადგმული მთელი განწყობილება. განცხადებები უნდა იქნას შეტანილი კომიტეტში (ველიამინოვის ქ. 3) ა. წ. 23 ივნისს არა უგვიანეს შუადღის 12 საათისა, დახურულ კონვერტებში წარწერით: „პნევმატიურ მოწყობილებათა მისაწოდებლად გამოცხადებულ ვაჭრობისათვის“.

№ 377—2—1

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ,

რომ ყოველგვარი ცნობები იჯარის შესახებ სისტემატიურად იქნება გაკრული განსაკუთრებულ ფიცარზედ ალმასკომის შესავალში.

ალმასკ. თავმჯდომარე **სუხიშვილი.**
მდივანი **თაქთაქიშვილი.**

№ 376—2—2

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 368 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტეინის ქუჩ. № 4